ლიდერთა რიგები იცხრილება

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის “დინამოს” სტადიონი.

“დინამო” (თბილისი) – “ფახთაქორი” (ტაშკენტი) 4:0 (2:0).

“დინამო”: გაბელია, ხიზანიშვილი, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, დარასელია, მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი (ჩელებაძე), გ. მაჩაიძე (მინაშვილი), შენგელია.

“ფახთაქორი”: იანოვსკი, უბაიდულაევი, აშიროვი, აგიშევი, ზაგუმენიხი, კორჩენოვი, ჩურკინი, ანი, ისაკოვი, ფიოდოროვი, ბაკანოვი.

მსაჯი: ვ. ლიპატოვი (მოსკოვი).

გულები: გუცაევი (21–ე, 24–ე წუთები, პენალტებით), მინაშვილი (83, 85).

მატჩის 21–ე წუთი. შეხვედრის არბიტრმა ლიპატოვმა კიდევ ერთხელ შეათვალიერა ადგილი, სადაც მცველებმა აკრძალული ილეთით შეაჩერეს მასპინძელთა თავდამსხმელი და უყოყმანოდ ანიშნა 11–მეტრიანი საჯარიმოს ნიშანზე. “დაზარალებულმა” ზუსტად დაუსვა წერტილი თავისივე წამოწყებულ იერიშს. ორიოდე წუთის შემდეგ გუცაევს ისევ მოუწია იმის დამტკიცებამ, რომ უნაკლოდ ურტყამს პენალტს. მსაჯმა ამჯერად მეკარესთან პირისპირ გასული გოჩა მაჩაიძის წაქცევისთვის დასაჯა უზბეკი ფეხბურთელები.

2:0. სწორედ ამგვარ სიტუაციაში ამბობენ, შეხვედრის ბედი გადაწყვეტილიაო. მართლაც, ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ “ფახთაქორს” რეალური საფრთხე შეექმნა თბილისელთა მიერ თითქმის განაღდებული 2 ქულისთვის.

ყველაფერი, რაც შემდეგ მოხდა, მატჩის უვერტიურის ბუნებრივ გაგრძელებას წარმოადგენდა.

შებოჭილობის, წაგების შიში უმალვე ქრება, როცა საკუთარ კარში 2 ბურთს მიიღებ. ამ დროს სავსებით ბუნებრივად ჩნდება სილაღე და ერთგვარი რისკიც. ასეთია მარცხისთვის განწირულის ფსიქოლოგია. არის კიდევ ერთი მომენტი. პენალტით გაშვებულ გოლს გუნდი სულ სხვა კატეგორიას აკუთვნებს და რატომღაც უსამართლობით განაწყენებული კაცის მანტიაში ეხვევა ხოლმე. სავსებით საწინააღმდეგო ცვლილებები ხდება მეტოქის ბანაკში, შესამჩნევად ქვეითდება გუნდის ტონუსი, ნაკლებ აგრესიულ თამაშში რომ იჩენს ხოლმე თავს.

გუშინწინდელი მატჩის საკმაოდ გრძელი მონაკვეთი 30–ე წუთიდან 70–ე წუთამდე ზემოხსენებული სიტუაციით განპირობებული სიუჟეტით განვითარდა. “ფახთაქორი” თავდავიწყებით თამაშობს, დიდი ძალებით უტევს, ბუნებრივია, რისკავს კიდეც. ერთი კი არის: უბაიდულაევსა (№2) და აშიროვს (№3), მათზე დაკისრებულ ამოცანებს მინდორზე მომხდარი ცვლილებები თითქმის არ შეხებია. სტუმართა ორივე მცველი მთელი მატჩის მანძილზე პერსონალურად მეურვეობს თბილისელთა ორ ფორვარდს, ჯერ გუცაევსა და შენგელიას, მერე – შენგელიასა და ჩელებაძეს. ყოველგვარი ტაქტიკა გამართლებულია, თუ მას განხორციელება უწერია. უზბეკმა ფეხბურთელებმა ნაწილობრივ შეასრულეს ჩანაფიქრი – მხოლოდ შენგელია აღმოჩნდა საიმედოდ იზოლირებული. პერსონალური მეურვეობა (იმ გუნდისთვის, რომელიც ამგვარი გეგმით თამაშობს) იერიშის მუხრუჭია. არადა, “ფახთაქორი” საიერიშოდ იყო განწყობილი. სტუმრებმა გამოსავალი ასეთნაირად მოძებნეს: ერთ–ერთი მცველი თითქმის მთლიანად ჩაერთო საიერიშო ოპერაციებში.

“ფახთაქორი” უტევს, მაგრამ ამგვარ შეტევას თავისი ხინჯიც აქვს. მეორე ტაიმში არაერთხელ გამეორდა სიტუაცია, როცა 3 თბილისელის წინააღმდეგ მეტოქის 3 მცველიღა რჩებოდა. დღევანდელ ფეხბურთში ეს დიდი შეღავათია, თანაც, გამუდმებულმა ენერგიულმა მოძრაობამ ტაშკენტელები ბოლოს და ბოლოს მოქანცა კიდეც და, თუ ამ თამაშში რამე კანონზომიერება არსებობს, ალბათ ის, რომ შეტევით ზომაზე მეტად გართული გუნდის კარში უცილობლად უნდა გავიდეს გოლი. ჩემპიონმა, მართალია, ცოტა დაგვიანებით, მაგრამ მაინც აღმოაჩინა, რომ მეტოქე სავსებით უსაფუძვლოდ უარყოფს საფეხბურთო კანონებს და საჭირო ზომებიც მიიღო. სტუმართა საჯარიმოში გაჩენილი დერეფნები იერიშის ობიექტებად იქცა. მინაშვილის “ტყუპი” გოლი ამ დერეფნების საზრიანი გამოყენების ლოგიკური შედეგი იყო.

ი. ბერიაშვილი.
“ლელო”, 25 აპრილი, 1979 წ.